ხელშეკრულება № 9

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.სახხერე 05.03-2018 წელი

ერთის მხრივ ა.ი.პ. „სახხერის სპ. ჯან დაცვის ცენტრი" (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი ა.ი.პ. „სახხერის სპ ჯანდაცვის ცენტრის" დირექტორი ლალი ტაბატაძის სახით და მეორის მხრივ შ.პ.ს. „ფენიქსი" ომარი ქამუშაძე (შემდგომში „მიმწოდებელი ") ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1 ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც მათ მინიჭებული აქვთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია ა.ი.პ. „სახხერის სპ.ჯანდაცვის ცენტრის" სახსრებით საქონლის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1 შესყიდვის ობიექტია კლასიფიკატორის დანაყოფის, 18424300, 24322500. 33114110, 33772000, 38423100 კოდებით გათვალისწინებული (სამედიცინო)–საქონელი.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება საქონლის შეადგენს 500 ლარს. (ხუთასი ლარი).

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
4.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შემსყიდველი---------- მიმწოდებელი----------

6. მხარეების უფლებები და მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1 პერიოდულად შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან:

6.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დაცვაზე.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით გამოვლენი ხარვეზების შესახებ:

6.2.2 უზრუნველყოს საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება:

6.2.3 ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის ღირებულება მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულების დანართში აღნიშნული ფასების შესაბამისად:

6.2.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოახდინოს ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს :

6.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს მიმწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად:

6.3.2 მონაწილეობა მიიღოს შემსყიდველის მიერ განხორციელებულ საქონლის ინსპექტირების პროცესში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა. ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული საქონლის მიწოდება უზრუნველყოს დანართში აღნიშნული ფასების შესაბამისად:

6.4.2 საქონლის მიწოდება შემსყიდველზე უზრუნველყოს მისი მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს შვიდი კალენდარული დღის ვადაში:

6.4.3 ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში, საქონლის მიწოდებაზე სასაქონლო ზედნადების ამოწერა და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა უზრუნველყოს ტვირთის მიმღები სტრუქტურული ერთეულისა და საბიუჯეტო დაწესებულების მიხედვით:

6.4.4 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება:

6.4.5 განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა მიწოდებული საქონლის შესახებ:

6.4.6 გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებელის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, მათ შორის საქონლის ხარისხის პერიოდული კონტროლი.

7.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ამ მიზნით აიპ „საჩხერის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" მიერ შექმნილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი.

7.3 ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მიზეზების მითითებით.

7.4 გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემსყიდველი---------- მიმწოდებელი----------

8. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
8.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. საჩხერე, გომართლის ქ. №5

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1 შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის წევრების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

9.2 შესყიდვის ობიექტის მიღებასაწარმოებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების და საბიუჯეტო დაწესებულებების უფლებამოსილი პირები.
9.3 საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

10. ანგარიშსწორება

10.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა-ლარი; ბ) ანგარიშსწორების ფორმა-უნაღდო; წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
10.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელსეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლის გამო ფერხდება ხელსეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2 იმ, შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით ხელშეკრულების მე-13 მუხლის შესაბამისად.

შემსყიდველი---------- მიმწოდებელი----------

12. მხარეების პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

12.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება

3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

12.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

12.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.15 პროცენტის ოდენობით.

12.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1.5 პროცენტს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენელის ხელმოწერით.

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წარმოქმნილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველი----------

მიმწოდებელი----------

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 თითოეული მხარე უფლება მოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას , ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.
15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეთა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. ფორს-მაჟორი

17.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას,თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
17.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომასა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომიტ ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
17.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება,დაუყონებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

18. სხვა დებულებები

18.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
18.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით,ხარჯებითა და რისკით.

შემსყიდველი---------- მიმწოდებელი----------

18.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან,ხოლო ერთი ეგზემპლარი --- მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:
აიპ.სახხერის საზ.ჯანდაცვის ცენტრი
მისამართი:სახხერე გომართლის ქ.№17
საბანკო რეკვიზიტები:
TRESGE22
GE24NB03301002001165022

ს/ნ 239395392

ტელ:599440730

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „ფენიქსი"
ომარი ქამუშაძე
მისამართი:ქ.სახხერე,გომართლის ქ.№5
საბანკო რეკვიზიტები;
ა/ა GE61BG0000000294754000
სს„საქართველოს ბანკი",

კოდი:**BAGAGE22**
სნ---**239403196**
ტელეფონი:

_____
აიპ „სახხერის საზ.ჯან დაცვის ცენტრის" დირექტორი

_____
შ.პ.ს. „ფენიქსი"
ომარი ქამუშაძე